ჩემპიონატი

მესამე ყაიმი

4 სექტემბერს ლენინგრადში ამავე ქალაქის **"სტალინეცმა"** და თბილისის **"დინამოს"** ოსტატ ფეხბურთლთა გუნდებმა ჩაატარეს მორიგი შეხვედრა სსრკ პირველობაზე. ამ შეჯიბრებაში დინამოელებიდან მეკარეთ თამაშობდა კავსაძე.

თამაშის პირველი ნახევარი დამთავრდა "სტალინეცის" სასარგებლოდ, ანგარიშით – 1:0 (მე–26 წუთზე ბურთი გაიტანა ლარიონოვმა). მეორე ტაიმის მე–18 წუთზე თბილისელთა კარში გატანილ იქნა მეორე ბურთი. დინამოელებმა მხოლოდ ამის შემდეგ გამოაცოცხლეს თამაში და ტაიმის ბოლომდის 2 ბურთი გაიტანეს (ბერეჟნოი და ხარბედია).

მატჩი დამთავრდა ფრედ – 2:2.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 6 სექტემბერი, 1939 წ.